**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე

ვ. ზამბახიძე

ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე (29.X. 1902, ფოთი, – 17.VI. 1974, თბილისი), მწერალი, კრიტიკოსი. თსუ-ის პედ. კათედრის პროფესორი (1963). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1923). იკვლევდა ქართ. პედ. აზროვნების, XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის, ქართ.-რუს. *ლიტ.* ურთიერთობათა საკითხებს, წერდა თანამედროვე *ლიტ.* პროცესების შესახებ. მისი ნაშრომებიდან საყურადღებოა: „ილია ნაკაშიძე” (1947), „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები” (1957), „ლიტერატურული წერილები” (1964), „დიდი სამოციანელი” (1968) და სხვ. ზ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.